



**საგაზაფხულო ხორბლის მავნებელ-
დაავადებებისა და სარეველებისაგან დაცვა
აპრილი-მაისის თვეებში**

**სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი
ცენტრი**

2020

აპრილი

- **საგაზაფხულო ხორბლის თესვის წინ:**

სათესლე მასალის შეწამვლა მავნებლების და დაავადებების წინააღმდეგ (მავნებლები: პურის ბზუალა, მავთულა ჭია, ცხვირგრძელები; დაავადებები: მტვრიანა, მაგარი და ჯუჯა გუდაფშუტები, ჰელმინთოსპოროზული და ფუზარიოზული ფესვის სიდამპლები, თესლის ობი, სეპტორიოზი, ნაცარი).

პრეპარატი, მოქმედი ნივთიერება, პრეპარატის ხარჯვის ნორმა 1 ჰა-ზე:

თესლის შესაწამლი ინსექტიციდები მავნებლების წინააღმდეგ: ნუპრიდი (იმიდაკლოპრიდი) - 0,5-0,75 ლ/ტ თესლზე, ან **სიდოპრიდი** (იმიდაკლოპრიდი) - 0,5-0,8 ლ/ტ თესლზე, ან **სელესტ ტოპი** (თიამეთოქსამი+ ფლუდიოქსანილი+ დიფენოკონაზოლი)- 1,5-2 ლ/ტ თესლზე, ან **გაუჩო პლიუსი** (კლოთიადინი+იმიდაკლოპრიდი) - 0,3-0,6 ლ /ტ თესლზე.

თესლის შესაწამლი ფუნგიციდები დაავადებების წინააღმდეგ: გიზმო (ტებუკონაზოლი)- 0,4-0,5 ლ/ტ თესლზე, ან **დივიდენდ სტარი** (დიფენოკონაზოლი+ციპროკონაზოლი) - 1 ლ/ტ თესლზე, ან **სერთიკორი** (მეფენოქსამი+ტებუკონაზოლი)-0,75-1 ლ/ტ თესლზე, ან **რაქსილ ულტრა** (ტებუკონაზოლი)-0,2 ლ/ტ თესლზე, ან **ინშურ პერფორმი** (პირაკლოსტრობინი+ტრიტიკონაზოლი)-0,5 ლ/ტ თესლზე, ან **სელესტ ტოპი** (თიამეთოქსამი+ფლუდიოქსანილი+დიფენოკონაზოლი)-1,5-2 ლ/ტ თესლზე, ან **კონილი** (ტებუკონაზოლი)-1,5 კგ/ტ თესლზე.

მაისი

- **შესხურება სარეველების წინააღმდეგ 2-4 ფოთლის ფაზაში, საგაზაფხულო ხორბლის არაუმეტეს 5-10 სმ სიმაღლისას** (ერთწლიანი და მრავალწლიანი ორლებნიანი სარეველები).

პრეპარატი, მოქმედი ნივთიერება, პრეპარატის ხარჯვის ნორმა 1 ჰა-ზე:

სელექტიური ჰერბიციდები ერთწლიანი და მრავალწლიანი ორლებნიანი სარეველების წინააღმდეგ: 2,4 დიმეთილამინის მარილი (2,4 დ დიმეთილამინის მარილი 720 გ/ლ, მჟავაზე გადაანგარიშებით 600 გ/ლ)-0,8-1,2 ლ/ჰა, ან **ლენტემული** (2,4 დ 2 ეთილჰექსილი) -0,7-1 ლ/ჰა, ან **ესტერონი** (2,4 დ მჟავას რთული 2- ეთილჰექსილის ეთერი)-0,6-1 ლ/ჰა, ან **გოლიაფი** (2,4 დ მჟავას დიმეთილამინის მარილი+დიკამბას დიმეთილამინის მარილი)-0,5-0,8 ლ/ჰა.

ერთწლიანი ორლებნიანი, მათ შორის 2,4 დ-ს მიმართ გამძლე მრავალწლიანი ორლებნიანი სარეველების წინააღმდეგ (დიჭა და სხვა) - ბაზაგრანი (ბენტაზონი)-2-4 ლ/ჰა, ან **გრანსტარი** (ტრიბენურონ მეთილი)-20-25 გ/ჰა, ან **დიანატი** (დიკამბა)-0,15-0,3 ლ/ჰა, ან **ლოგრანი** (ტრიასულფურონი)-6,5-10 გ/ლ, ან **გროდილ მაქსი** (ამიდოსულფურონი_ნატრიუმის იოდოსულფურონ მეთილი + ანტიდოტი)- 0.09-1 ლ/ჰა, ან **გრანლენდი** (ტრიბენურონ მეთილი)- 15-20

გ/ჰა, ან **დიალენ სუპერი** (2,4 დ მჟავა + დიკამბა მჟავა)- 0,6-0,8 ლ/ჰა, ან **დიანატი** (დიკამბა)-0,15-0,3 ლ/ჰა, ზესტ ამინი (2,4 დ დიმეთილამინის მარილი)- 1,6-2,5 ლ/ჰა.

ერთწლიანი მარცვლოვანი სარეველების წინააღმდეგ (შვრიუკა, მწვანე ძურწა და სხვა) - აქსიალი (პიროქსადენი+კლოკვინტოსეტ მექსილი)- 1-1,3 ლ/ჰა, ან **პუმა-სუპერი** (ფენოქსაპროპ-პ-ეთილი + ანტიდოტი მეფენპირდიეთილი)- 0,8-1,2 ლ/ჰა, ან **ტოპიკი** (კლოდინაფოპროპარგილი + კლონკვინტოსეტ მექსილი)- 0,3-0,4 ლ/ჰა, ან **იგლ სუპერი** (ფენოქსაპროპ-პ-ეთილი + ანტიდოტი მეფენპირინდიეთილი)- 1-1,3 ლ/ჰა.

- **ბრძოლა თავვისებრ მღრღნელებთან (მემინდვრია, ამიერკავკასიური და რუხი ზაზუნელა, ტყის თავვი) - სუპერცინკი** (თუთიის ფოსფიდი) - 2,5-5% შემცველობა მისატყუებელში, 5-10 გრ მზა პრეპარატი/ სოროზე, ან **რატიციდი** (თუთიის ფოსფიდი)-2,5-5% შემცველობა მისატყუებელში, 5-10 გრ მზა პრეპარატი/სოროზე.

შენიშვნა: რეკომენდაციაში მოცემული პესტიციდები რეგისტრირებულია საქართველოში.

შესაძლებელია მისი კორექტირება, ასევე პრეპარატების ჩანაცვლება სპეციალისტებთან შეთანხმებით კლიმატური პირობების, ზონალობის, პესტიციდების ასორტიმენტისა და გამოყენების რეგლამენტების გათვალისწინებით.

სამუშაო ხსნარის მომზადება:

ჩატარებული წამლობის ეფექტურობისათვის საჭიროა სამუშაო ხსნარის კონცენტრაციის ზუსტი განსაზღვრა: **სამუშაო ხსნარის კონცენტრაცია არის პრეპარატის ხარჯვის ნორმა (1 ჰა-ზე) გამრავლებული 100-ზე და გაყოფილი სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმაზე (1 ჰა-ზე).**